საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3648/01
12/04/2022

3648-01-2-202204121637

ი/მ დავით ნიქაბაძეს
მის: ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფ. მეორე სვირი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის პირველი აპრილის №7745 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეორე სვირის მიმდებარე ტერიტორიაზე თევზსაშენი ტბორის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

- წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში, მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ მე-3 თავში აღნიშნულია, რომ „სატბორე მეურნეობის მოწყობის პროექტის შესაბამისად, საპროექტოდ გათვალისწინებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებია: მიწის ნაკვეთის ფართობი - 8172 მ^2, სატბორე მეურნეობის ფართობი - 4260 მ^2, კედლის საპროექტო სიღრმე 3-4 მ-მდე, სამშენებლო მოცულობა 18 000-20 000 მ^3, თევზსაშენი ტბორის ფართობი 4 000 მ^2, მაქსიმალური მოცულობა - 16 000 მ^3-ია“. ამასთან, ამავე თავში მოცემული ინფორმაციის თანახმად „საპროექტო ტბორის პარამეტრები იქნება: სიღრმე-2 მ, ფართობი - 4 000 მ^2, მოცულობა - 8 000 მ^3, ტბორში წყლის სიმაღლე 1,5-2 მ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს სატბორე მეურნეობის მოწყობის ტექნიკური პარამეტრები, მათ შორის ტბორის მოცულობა.

  გაცნობებთ, რომ ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მე-2 დანართის 9.9. ქვეპუნქტის თანახმად, სკრინინგის პროცედურას ექვემდებარება **კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის/მოწყობილობის მშენებლობა, რომლის მშენებლობა მიზანშეწონილია წყლის შეკავების ან წყლის გრძელვადიანი დაგროვების მიზნით და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 10 000 მ^3-ზე მეტია**. შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს საფუძველში მითითებული ქვეპუნქტი (,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მე-2 დანართის 9.9).

- ასევე დაზუსტებას საჭიროებს მოშენებული თევზის რაოდენობა, რადგან წარმოდგენილია ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მე-2 დანართის 1.6

ქვეპუნქტის საფუძველზე. სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ პირველ ეტაპზე წლის განმავლობაში მოშენებული თევზების რაოდენობა იქნება 4-5 ტონა, თუმცა სატბორის საპროექტო ტერიტორიის გათვალისწინებით შესაძლებელია 20 ტონამდე თევზის მოშენება. ამასთან მე-13 გვერდზე არსებული ინფორმაციით, პირველ ეტაპზე მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში 3-4 წლის განმავლობაში დაგეგმილია 4 ტონა თევზის მოშენება. შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს საფუძველში მითითებული ქვეპუნქტი (,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-2 დანართის 1.6).

- ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვასთან დაკავშირებით, სკრინინგის განცხადებაში გათვალისწინებული უნდა იქნეს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილების მოთხოვნები;

- წარმოდგენილ განცხადებაში არასწორად არის მითითებული განმცხადებლის გვარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე